ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 155

ქ.გარდაბანი

31.08.2018

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის #127) წარმოდგენილი მისი მერის პირველი მოადგილის დავით ჭანტურიას სახით (შემდგომში,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ლიბრა რეგიონი" (მის:ქ.რუსთავი კოსტავას გამზ. 16) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვენერა ჭელიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი")„ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ„ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ საშუალებით სასაჩუქრე ბარათების შესყიდვა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 18500000

2.3 შესყიდვის ობიექტი მოცემულია ინვოისში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 810 (რვაას ათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვაისწინებული შემთხვევისა.

4 .მომსახურეობის მიღება ჩაბარების წესი

4.1.მომსახურეობა გაწეულად ჩაითვლება მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

5. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 ხელშეკრულების მე-8 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლო) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის (პირგასამტეხლო) გადახდის შემდეგ.
5.4 წინასწარი ანგარიშწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი
6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (ხუთი) კალენდარული დღე.
6.2 საქონლის მიწოდება განახორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის N73.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის გადაუხადოს ,,მიმწოდებელს" შესრულებული ვალდებულების ღირებულება.
ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.
7.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულება.
ბ) დროულად და წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" ვალდებულების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხების შესახებ.

8. ინსპექტირების პირობები
8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, შეამოწმონ მოწოდებული საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.
8.3 ინსპექტირების განმახორციელებელი:
ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.
8.4. ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გამოიყენება საჯარიმო სანქცია.
9.2 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

9.4 8.3 მუხლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
9.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებაარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწლად.
10.3 ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.6 ხელშეკრულების დამდები მხარე რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების ვადა.
10.7 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისგან.
10.9 შემსყიდველს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
10.10 ამ მუხლის 9.9 პუნქტით მითითებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას (ასეთის გამოყენების შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წრამოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით,ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდბლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელმომწერ მხარეებთან. (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

გარდაბნის მუნიციპალიტეტი
მის:ქ.გარდაბანი დ.აღმაშენებლის №127
საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა.
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში.
ბანკის კოდი: TRESGE22

„მიმწოდებელი"

შპს"ლიბრა რეგიონი"
მის: ქ.რუსთავი კოსტავას გამზ.16
საიდენტიფიკაციო კოდი № 405073539
ს.ს.„საქართველოს ბანკი"
ბ.კ. № BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: №
GE55BG0000000898359500

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე
დავით ჭანტურია

შპს"ლიბრა რეგიონი"-ს დირექტორი
ვენერა ჭელიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.გარდაბანი

31,08,2018 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ხელშეკრულების №155 გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ---------- დავითი ჭანტურია

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
უფროსი ---------- ოთარ გავაშელიშვილი

ინვოისი 09.08.2018

გადამხდელი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 226573204
მის: ქ.გარდაბანი, დ.აღმაშენებლის ქ.128

მიმღები: შპს „ლიბრა რეგიონი"
საიდენტიფიკაციო კოდი 405073539
ს.ს "საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ანგ. ნომერი: GE55BG0000000898359500
ტელ: 2 94 52 00

N	ოპერაციის შინაარსი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა ლარი
1	სასაჩუქრე ბარათი 100 ლარიანი	2	90	**180**
2	სასაჩუქრე ბარათი 150 ლარიანი	2	135	**270**
3	სასაჩუქრე ბარათი 200 ლარიანი	2	180	**360**
				810

თანხა: რვაას ათი ლარი

შპს „ლიბრა რეგიონი"
დირექტორი: ფანერა ბელიძე